სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 0 23 0000980409

09/08/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2023-2024 სასწავლო წლისათვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, თესაუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს დებულებების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 02 აგვისტოს N14 ოქმის N2 საოქმო დადგენილებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე თათულიშვილის სამსახურებრივი ბარათის (09/08/2023წ; N979945) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში **2023 - 2024** სასწავლო წლისათვის დამტკიცდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკი:

- **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) 2023-2024 სასწავლო წელი დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;
ბ) I სემესტრი დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 23 თებერვალს;
გ) II სემესტრი დაიწყოს 2024 წლის 11 მარტს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;
დ) სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 26 სექტემბერს და დასრულდეს 2023 წლის 06 ოქტომბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2024 წლის 22 იანვარს და დასრულდეს 2024 წლის 03 თებერვალს;
ბ)[1]დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 02 თებერვლიდან 2024 წლის 13 თებერვლის ჩათვლით;
გ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2024 წლის 24 ივნისიდან და დასრულდეს 2024 წლის 5 ივლისს;
დ)[1]დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 04 ივლისიდან 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით;

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2024 წლის 26 თებერვლიდან და დასრულდეს 2024 წლის 10 მარტს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს (ნ. კახაშვილი) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილი);
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა